ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4895462

ნომერი: AR1739360

თარიღი : 10.03.2020

გაცემის თარიღი : 12.03.2020

გაცნობის თარიღი : 12.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩა, N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ მაჩაიძე პ/ნ 01023008398
- თბილისი სანზონა კორ. 18ბ ბ. 45

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 09 მარტის N4889737 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 10

მარტს №AR1739360 განცხადებით მომართა კახაბერ მაჩაიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 09 მარტის N4889737 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 09 მარტის N4889737 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, გაგრის ქუჩა N2-ში, შპს ,,აისბერგ თბილისი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.11.03.003.058), ფაბრიკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 09 მარტიდან 2020 წლის 09 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 09 მარტის N4889737 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის ვადა „2020 წლის 09 მარტიდან 2020 წლის 05 სექტემბრის ჩათვლით“-ს ნაცვლად დაფიქსირდა „2020 წლის 09 მარტიდან 200 წლის 05 სექტემბრის ჩათვლით“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნულის გასწორებას.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2020 წლის 14 თებერვლის №AR1733517 განცხადებით მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილი იქნა 6 (ექვსი) თვეზე. შესაბამისად, სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში მშენებლობის ვადა დაფიქსირებულ უნდა იქნას „2020 წლის 09 მარტიდან 2020 წლის 09 სექტემბრის ჩათვლით“.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 09 მარტის N4889737 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 09 მარტიდან 2020 წლის 09 სექტემბრის ჩათვლით.“
2. სამსახურის 2020 წლის 09 მარტის N4889737 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 09 მარტის N4889737 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.